[illegible]

ხალხის საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

ფასი 50 კაპ. რაიონის გარეშე 60 კაპ.

№ 386 1918 წ. სამშაბათი ნოემბერი 19. № 387

საფრანგეთში რევოლიუციონური მოძრაობაა. ლლოიდ ჯორჯი მუშებს ჰპირდება საზავო კონფერენციაზე დაშვებას, თუ ისინი მთავრობიდან არ გავლენ. ჯორჯი მოითხოვს აგრეთვე სოციალურ რეფორმებს. ჰოლლანდიაში რევოლიუციაა. ჩეხიის რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩიეს პროფ. მასარიკი პრემიერად კრამარჟი. გერ. რევ. ვითარდება. დღეს საქარ. პარლამენტის სხდომაა.

ტფილისის სოციალ-ფედერალისტთა სტუდენტთა კავშირი ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ ს. ნატახტარში ვერაგულად მოჰკლეს პარტიულ მოვალეობის ასრულების დროს დაუვიწყარი ამხანაგი სტუდენტი

გრიგოლ ჭუმბურიძე

2418

ბათომის პარტიზანული პოლკი ამით აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ სოფ. ნატახტარში ვერაგულად მოჰკლეს, ამავე პოლკის პარტიზანი, სახელოვანი მეომარი

გრიგოლ ჭუმბურიძე

2419

უსაზღვრო მწუხარებაში შინა მყოფნი დედ მამა: ეკატერინე დავითის ასული და სანდრო გიორგის ძე ყიფიანები შვილებითურთ ამით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ სამშაბათს, ნოემბრის (ძველი სტილით) სოფელ მოლითში (შორაპ. მაზ.) გადახდილ იქმნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებულის ძვირფასს და საყვარელის შვილის და ძმის

სოლომან (სოსიკო) სანდროს ძის ყიფიანის

სულის მოსახსენებლად. 2415

სახელმწიფო თეატრი

სამშაბათს, ნოემბრის 19-ს, **ოპერა**

ტ. საბანეევისა, ტ. ორდას და გ. ბერზნინის მონაწ. წარმოდგენილი იქნება

„ფაუსტი“ და „ვალპურგიევის ღამე“

პ. 5 მოქმ. და 6 სურ. გუნოს მუს. ფასები დაკლებულია. დასაწყისი საღ. 7 ს.

ოთხშაბათს, ნოემბრის 20-ს

შულგინის, ორდას და ზალიქსკის მონაწ. წარმოდგენილი იქნება

„ევგენი ონეგინი“

ხუთშაბათს, ნოემბრის 21-ს, საბანეევისა, ლალეშკოს, კანშინის, ვრონსკის, ნიკოლსკის და ისეცკის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

„გუგენოტები“

დასის წარმომადგენელი ევლახიშვილი. 1397

ცირკი „მოდერნი“

(ყოფილი ძმ. ეფიმოვებისა, მიხეილის ქუჩა)

სამშაბათს, 1918 წ. ნოემბრის 19-ს გაიმართება

დიდი გასტროლი

პირველი გასტროლი საზოგადოების საყვარელ კინტოსი, გ. ლევანსკის მონაწილეობენ აგრეთვე ზინკოვსკები, მასხარა—ფლერენსის, ძმ. ჟაკო და ფერენტი. მონაწილეობს აგრეთვე მთელი დასი.

დასაწყისი საღამოს 7½ ს.

მთავარი ადმინისტრატორი ა. ელიზაროვი. 2631

ქართველ მსახიობთა საპროფესიო კავშირის საბჭო

ამით აცხადებს, რომ კვირას, ნოემბრის 24-ს დილის 11 საათზე ქართულ კლუბის შენობაში დანიშნულია კავშირის წევრთა

საგანგებო კრება

საგანი კრებისა: წრევანდელი სეზონის ვითარება და კავშირის დამოკიდებულება მასთან. 1396

საპიორთა ბატალიონი რომელიც დაბინავებულია ქალ. ტფილისში 1 კახეთის ქ. № 25, (ყოფილი ყოფილ პოლკის სადგომში) იწვევს გამოცდილ უნტერ-ოფიცრებს, რომელნიც ირიცხებიან სათადარიგოში, ოცის თავებს და ზინდეგებათ.

საპიორთა ცოდნა: ან საპიორულ ან სატელეგრაფო და სატელეფონო საქმის, აგრეთვე ქართულ ენისა. პირობები: გარდა დადებულ ჯარის-კაცთათვის, ...ეცემათ დამატებითი ჯამაგირი 250 მანეთი თვეში და ცალკე ოთახი ბატალიონის სადგომში. წლოვანობა არა უმეტეს 36 წლისა. 2717

განცხადება

სისხლის სამართლის მილიციისა

ჩემდამი რწმუნებულ სისხლის სამართლის მილიციაში ინახება ოქროს და სხვა ძვირფასი ნივთები, რომელიც სხვა და სხვა პირთ ეჭვით ჩამოართვეს.

ვსთხოვ ყველას, ვისაც შეეხება, მობრძანდნენ ჩემთან ამ ნივთების გასარჩევად (გაზოვის ქ. № 12).

418 სისხლის სამართლის მილიციის უფროსი ჟორდანია.

განცხადება

ცენტრალური სასურსათო საბჭო (მიქათოვის ქ. № 3, ყოფილი სასურსათო სამინისტრო) ამით აცხადებს საზოგადო დაწესებულებათა და კერძო პირთა საყურადღებოდ, რომ მსურველთ შეუძლიათ შეიძინონ ხსენებულ საბჭოში [illegible] მარილი დაწესებულ ფასებში.

მარილის მიღება შეიძლება ქ. ტფილისში და ქ. ფოთში. 1411

[illegible]

* * *

ვისაც რომ უყვარს ქვეყანა
ამირან გმირთა-გმირისა,
ვინც საქართველოს სვე ბედზე
ტარიელივით სტირისა,
ის დღეს ჩვენც დაგვეხმარება,
კვნესა-მე მისი ჭირისა!

ვისაც გულს ცეცხლი უნთია
და განცდა ძალუძს ტკბობისა,
ვისაც აღმოფხვრა სწადიან
კაცთა შურის და მტრობისა,
მოდით, აღვმართოთ ტაძრები
გონებისა და გრძნობისა!

ვინც უყოყმანოდ შეიძენს
ბილეთებს ლატარიისას,
ვინც ხელოვნებით სულდგმულობს,
ვინც რომ წყაროს ჰსვამს იისას,
ის იგრძნობს განცდას უტკბილესს
უმწიკვლო პოეზიისას!

ვისაც კი უყვარს აკვანი
ამირან გმირთა-გმირისა,
ვინც საქართველოს სვე-ბედზე
ზრუნავს და მისთვის სტირისა,
ის დღეს ჩვენს ბილეთს შეიძენს,
კვნესა-მე მისი ჭირისა!

ტფილისი, ნოემბერი 17.

პარიზის რევოლიუცია

მსოფლიოს ყურადღება უკანასკნელ ხანაში დასავლეთის ფრონტისაკენ იყო მიპყრობილი. ამ ფრონტზე გატყდა ვილჰელმის ტახტის ძლიერება, აქ შეიკუმშა ძალა სამი გიგანტისა: ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის, რომელნიც იმავ საფრანგეთში თავს უყრიდნენ აღმოსავლეთის შავსა და ყვითელ კანიან ტომებს, აგრეთვე აფრიკის და ამერიკის გმირებს, სწორედ ამიტომ, თუ ნიუ-იორკის სიტყვის შადრევნებს არ მივაწერთ უმთავრეს მნიშვნელობას საფრანგეთის ტერიტორიაზე იყო დაგროვილი მატერიალური და ფიზიკური დოვლათი ხსენებულ სახელმწიფოთა. გენერალი ფოში და პუანკარეს სახელმწიფო იმედის თაიგულად დაისახა შეთანხმების კოალიციამ, თუმცა არავის მოგონებია ის ჭეშმარიტება, რომ ტერიტორიალურ საფრანგეთში უსულო რკინებსა და ყუმბარებს გარდა ექსპანსიური ხასიათის რომანები ცხოვრობენ, რომელთაც სისხლს სამხრეთის ნაკადული ერთვის თავის დაუდეგარი ტემპერამენტით, სწორედ ეს რასიული თავისებურობა იყო უდიდესი საფრთხე ინგლისურ კოალიციისა და ჩვენ ისტორიასთან ერთად გვწამდა: საფრანგეთი, როგორც დედა ქალაქი რევოლიუციონურ ტალღებისა ძალიან მალე აღმართავდა დემოკრატიის დროშას და ეს დროშა თავის სხივოსან კალთებს შემოარტყამს მრავალ მოდგმის და ხასიათის ჯარებს, რომელნიც დღეს შეთანხმების სახელმწიფოების სიმაგრეს შეადგენენ.

გუშინ უკვე მოვიდა ცნობა, რომ გრანდიოზულ რევოლიუციათა დედაქალაქი—პარიზი—უკვე გამოვიდა რევოლიუციის ასპარეზზე და ხელი გაუწოდა გერმანიის პროლეტარიატს. ამ უკანასკნელ დროს არც ერთს მომენტს მსოფლიოს ცხოვრებაში არ ჰქონებია ესოდენ დიდი მნიშვნელობა. ამ აქტში საზოგადოდ ევროპიულ იმპერიალიზმის მთელი უბედურებაა ჩამარხული. კაცობრიობა დღემდე ხედავდა, რომ რევოლიუცია იქ ხდება, სადაც დამარცხებას აქვს ადგილი. მაგრამ იტალიის და საფრანგეთის რევოლიუცია არის რევოლიუცია გამარჯვებულ მხარეში და ეს ძირ-ფესვიანად სცვლის მთელ ძალთა განწყობილებას ევროპისას.

ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით, რამდენად ფართო და ღრმა ხასიათს მიიღებს პარიზის რევოლიუცია. შესაძლოა მრავალ ტომის შეიარაღებული ძალა გახდეს დინამიურ ელემენტად რეაქციისა, შესაძლოა პირიქით, საფრანგეთის უცხო ტომებმა უფრო ადვილად შეიგნონ იმპერიალიზმის აუტანლობა და რევოლიუციას ზედმეტი გუშაგი დაურჩეს; ყოველ შემთხვევაში ჩვენთვის ერთი რამ აშკარაა: საფრანგეთი რევოლიუციის ბრჭყალებში ჩავარდება და საზოგადოდ თანამედროვე რევოლიუცია არსებითად ხდება საერთაშორისო რევოლიუციად. ამ გარემოებას უდიდესი სამსოფლიო მნიშვნელობა აქვს, როგორც მთელ კაცობრიობისათვის, ისე კერძოდ ყველა დაჩაგრულ ერისათვის. ევროპა-ამერიკის დემოკრატიის გამოღვიძება ეს საბოლოო სიკვდილია იმპერიალიზმისა, ეს გაქარწყლებაა ვილსონის პროგრამის და ყველა იმ ხელშეკრულობათა, რომელნიც კი რევოლიუციამდე ვინმეს შეუქმნია ძალადობის და უპირატესობის პრინციპით.

კერძოდ საქართველოსათვის საერთაშორისო რევოლიუცია უტყუარი ბუდე იქნება დამოუკიდებლობის განმტკიცების და თავისუფლებისა. საქართველო ყოველთვის რევოლიუციონურ პრინციპს ემყარებოდა და დღეს ეს პრინციპი კიდევ უფრო ღრმად უნდა შევისისხლხორცოთ და ჩვენი იმედი გადავაჭედოთ ევროპის რევოლიუციონურ დემოკრატიის იმედებს. ამნაირად საქართველოს თანამედროვე ორიენტაცია ისევ ევროპიული და დემოკრატიული ორიენტაციაა და პარიზის რევოლიუცია ახალი საფუძველია საქართველოს ასეთი ორიენტაციისა.

საერთაშორისო რევოლიუცია პირველ ყოვლისა სჭრის წმინდა პოლიტიკურ საკითხებს, რომელთაც უღრესად საერთაშორისო ხასიათი აქვს. დღემდე ეროვნული რევოლიუციები სჭრიდნენ ეროვნულ პოლიტიკის ბედს, ეხლა პარიზის რევოლიუცია სამარეს უთხრის საერთაშორისო ფარგალში ბურჟუაზიულ პოლიტიკას და საერთაშორისო განწყობილება უნდა დაამყაროს კულტურულ შეჯიბრების და თავისუფლების მიხედვით. ეს პრინციპი არის სამარე კოლონიალურ სახელმწიფოების, საფლავი საზოგადოდ იმპერიალიზმისა და კაპიტალისტურ კულტურის ამ ატრიბუტის დასამარებაში ყველაზე მეტად ისარგებლებენ დაჩაგრული კლასები, როგორც სოციალური კატეგორიები, ხოლო პაწია ერები, როგორც ბიოფიზიკური ერთეულები. ქართველი ხალხიც და საქართველოც ამ ერების წიაღში იმყოფება და ამიტომაც არის, რა მძიმე პირობებიც არ უნდა შეხვდეს ჩვენს ხალხს საერთაშორისო რევოლიუციის ნაყოფის მიღებამდე, ჩვენ ერთგული დარაჯი და დამხმარე ვიქნებით ეროვნულ რევოლიუციონურ პრინციპებისა და ამ წმინდა ანდერძების დარაჯობაში უკანასკნელ სისხლის წვეთამდე შევეკვეთებით რეაქციის და იმპერიალიზმის ძალებს.

ქართული პრესა

გაზეთ „შრომა“ ეხება ჩვენს მიერ გამოთქმულ აზრს გერმანიის რევოლიუციის შესახებ და ვითომ წინააღმდეგობაში გვიჭერს. რა ვსთქვით ჩვენ? პირველ წერილში ჩვენ ვარჩევდით ევროპაში არსებულ პირობებს და ვამბობდით, რომ სოციალისტურ რევოლიუციას არ უნდა მოველოდეთ თქო. ეს იმას ნიშნავს, რომ დღევანდელი რევოლიუცია ვერ დაამყარებს სოციალიზმს, როგორც ეს რუსებმა „დაამყარეს“, იქვე იყო გამოთქმული იმედი, რომ ასეთიც მსვლელობაზე, ე. ი. დღესვე სოციალიზმის განხორციელების შეუძლებლობას გრძნობენ თვით სოციალისტები, რადგან ისინი „შრომის“ თანამშრომლებს არ ჰგვანან და **ჭეშმარიტი სოციალისტები** არიან—იციან გზა და საშუალებანი თავის მიზნის განსახორციელებლად. ჩვენ ზემოხსენებული გარემოება გვქონდა მხედველობაში და ვიცოდით, რომ რუსეთის რევოლიუციის ფორმებს არ მიიღებს იქაური მოძრაობა ამ აზრით უწოდეთ ჩვენ ჭეშმარიტი სოციალისტური გერმანიის რევოლიუციის და არა იმიტომ, რომ ჩვენ გვეგონოს, თითქოს იქ დაუყოვნებლივ სოციალიზმი განხორციელდებოდეს. ჩვენ ღრმა რწმენით, მთელ ევროპაში მოხდება უდიდესი ცვლილებანი და სოციალური გარდაქმნაც, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს სოციალიზმის განხორციელებას, რის დამაბრკოლებელი მიზეზები იმავე მეთაურში აღვნიშნეთ.

ბოლოს „შრომა“ შენიშნავს: როგორც სჩანს, მეტად გულმავიწყი ხალხი ზის „სახალხოს“ რედაქციაშიო.

გულმავიწყობა ისეთი დიდი ცოდვა არაა, მაგრამ როდესაც კაცს დაწერილის გაგების უნარი არა აქვს და სხვას უკიჟინებს რასმე—ეს შეუწყნარებელია.

მთავრობაში

მთავრობამ დაადგინა: ნება დაერთოს ფინანსთა მინისტრს—მაილოს თავის განკარგულებაში ყოფილი საქარხნო სათათბიროს კრედიტის დანარჩენი 10.979 მანეთი 83 კაპ., როგორც საავანსო თანხა.

—

მოეხსნას ფინანსთა მინისტრს 15,000 მანეთი ქუთაისის გაუქმებულ სახაზინო პალატის ქონებათა ტფილისში გადმოსატანად.

—

გადასახადთა და სახელმწიფო ხაზინის სამმართველოს უფროსად დაინიშნოს ბაგრატ ცირსალაძე.

—

ღვინის აქციზის დაწესებისათვის კანონ-პროექტი გადაეცეს მიწათ-მოქმედების მინისტრს, რომ მან ამის გამო თავისი დასკვნა მთავრობას წარმოუდგინოს ნოემბრის 19-სათვის დანიშნულ სხდომაზე.

—

სასახლის შესახვისათვის ხარჯ-აღრიცხვა მიღებულ იქმნას მიწათ-მოქმედების მინისტრის ამხანაგის განსაზღვრებით.

უკანასკნელი ცნობები

გერმანელთა დელეგაციის ცნობები.

ვილსონი გერმანიის ხალხს დაჰპირდა ზავის პირობების შემსუბუქებას.

სევასტოპოლში გერმანიის და ინგლისის წარმომადგენლებს მოლაპარაკება აქვთ შავ ზღვაზე თავისუფალ მიმოსვლის შესახებ.

ფრანგების სოციალისტებს დაუდგენიათ გერმანიის სოციალისტებთან შეთანხმებით იმოქმედონ.

კარჩიკიანის მკვლელი.

როგორც მკითხველებმა იციან, ჯამალიანმა ერევნიდან შემდეგი დეპეშა მიიღო: ნოემბრის 14-ს შუადღისას თავის კაბინეთში პოლიტიკურ ნიადაგზე მოჰკლეს მზრუნველობის მინისტრი ქ. კარჩიკიანი. მკვლელი პოდპორ. ეგორ მინასიანცი მიიმალა. შინაგან საქმეთა მინისტრი არამი.

როგორც დანამდვილებით გავიგეთ მკვლელი დაუპატიმრებიათ. იგი დაშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაკცაკანი ყოფილა. თუმცა თვით კარჩიკიანიც დაშნაკცაკანი იყო, მაგრამ ალბად პარტიაში რაიმე უთანხმოება ჩამოვარდნილა.

ინგლისელები და ადერბეიჯანი.

ტფილისში მყოფ ადერბეიჯანის დიპლომატიურ წარმომადგენლის საინფორმაციო ბიუროს ცნობით—ამ დღეებში ბაქოში ჩამოვიდა სპარსეთში მყოფ ბრიტანიის ჯარის სარდლის გენერალ ტომსონის დელეგაცია, რომელსაც დავალებული ჰქონდა ადერბეიჯანის მთავრობასთან მოლაპარაკება ამის გამო ენზელში გაემგზავრა ადერბეიჯანის მთავრობის დელეგაცია ტომსონთან მოსალაპარაკებლად. ამ მოლაპარაკების შემდეგ ხან-ხოილმა დეპეშა გაუგზავნა გენერალ ტომსონს და აცნობა, რომ ადერბეიჯანის მთავრობა წინააღმდეგი არაა ბრიტანიის რაზმის თქვენის მეთაურობით ბაქოში შემოსვლისაო. ხან-ხოილმა თავის დეპეშაში აღნიშნა, რომ გარდა იმ ზოგად დებულებათა, თქვენ რომ გამოსთქვით მოლაპარაკების დროს ადერბეიჯანის დაიოუკიდებლობასა და ტერიტორიალურ მთლიანობას ხელს არ შეუშლითო.

სოხუმის ოლქში.

სოხუმიდან სამხედრო სამინისტროს საერთო განყოფილების უფროსმა პოლკოვნიკ წერეთლისგან შემდეგი დეპეშა მიიღო: „გთხოვთ აცნობოთ სამხედრო მინისტრს, რომ ყველა დარგში მუშაობა სინიდისიერად სწარმოებს, შემიძლია ღვნიშნო, რომ დისციპლინა სრულიად დაცულია, პოლკის ორგანიზაცია სრულიად შეეფერება მინისტრის ბრძანებას და განკარგულებას გთხოვთ გაგზავნოთ კაცი იმ ცნობების დასამოწმებლად, რომელიც მინისტრს აქვს.

საქართველოს პარლამენტი

(დასასრული *)

ნ. თარხანოვი. (სომხ. ს.-რევ.) შეკითხვა შემოტანილი იყო ამ სამი კვირის წინად და გამოწვეული იყო მით, რომ უსაფუძვლოდ დატუსაღებული ბოლშევიკები იძულებული იყვნენ სიმშილობა გამოეცხადათ. მაგრამ შეკითხვას დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა: დღესაც არა ერთი იტანჯება სატუსაღოში ისეთი პირი, რომელმაც არ იცის რა ბრალი ედება მას, რადგან ბრალდებას არ უყენებენ. საჭიროა პარლამენტმა უზრუნველჰყოს მოქალაქეთა მდგომარეობა, რომ ერთსა და იმავე დროს არ შეეძლოს ადმინისტრატიული წესით დატუსაღება მილიციის უფროსს, გენერალ გუბერნატორს და შინაგან საქმეთა მინისტრს.

იუსტიციის მინისტრი **შ. ალექსი-მესხიშვილი** პარლამენტის წევრნო! როგორც შეკითხვიდან სჩანს, თითქმის ყველა ის პირი (ბუდუ მდივანი და სხვები) დატუსაღებულია ადმინისტრატიული წესით. ადმინისტრატიული წესით დატუსაღების შესახებ უნდა მოგახსენოთ შემდეგი: რევოლიუციის პირველ დღეებში რუსეთის მთავრობამ კერენსკის იუსტიციის მინისტრად ყოფნის დროს უკუაგდო ადმინისტრატიული წესით დატუსაღება. ხოლო რეალურმა პირობებმა, პოლიტიკურმა ბრძოლამ, ბრძოლამ ანარქიის მთესველთა და ნაძირალებთან, აიძულა იგივე კერენსკი 1917 წლის აგვისტოს 2-ი დეკრეტით კვლავ აღედგინა ეს წესი. ამ დეკრეტის ძალით შინაგან საქმეთა მინისტრს სამხედრო მინისტრთან შეთანხმებით ნება აქვს ადმინისტრატიული წესით დაატუსაღოს ის პირები, რომელნიც ანარქიას სთესავენ ქვეყანაში და მთავრობის წინააღმდეგ მოუწოდებენ.

ეს არის ფორმალური მხარე, რომელიც ცხად ჰყოფს, თუ რიმდენად უსაფუძლოა თარხანოვ-თუმანოვის შეკითხვა. მაგრამ მე, როგორც სოლიდარულ კაბინეტის წევრს, არ მინდა ამ ფორმალური არგუმენტით მოვიცილო თავიდან პასუხისმგებლობა და შინაგან საქმეთა მინისტრს გადავცე იგი, რომ მან გასცეს პასუხი ადმინისტრატიულ წესით დატუსაღების შესახებ. მე მინდა არსებითადაც გავცე პასუხი ამ შეკითხვას.

არც საქართველოს მთავრობაში, არც პარლამენტში არ მეგულება ისეთი პირი, რომელიც მომხრე იყოს ადმინისტრატიული წესით დატუსაღებისა. მაგრამ თუ თქვენ გაითვალისწინებთ იმ მდგომარეობას, რომ სინიდის ახდილი ვაჟბატონები ძირს უთხრიან საქართველოს დამოუკიდებლობას იმ დროს, როდესაც საქართველოს მთავრობას 6 თვის განმავლობაში ერთი დღე არ ჰქონია თავისუფალი, განა შეიძლება ვინმემ სთქვას, რომ მარტო სასამართლოს წესით მოხდეს დატუსაღებაო, იმ სასამართლოსი, რომელთა ძველი მოხელეები საქართველოს დამხობის მიზნით სისტემატიურ საბოტაჟს ეწეოდნენ? (ძლიერი ტაში).

ვისთვისაც ეს ნგრევა და დამხობა დამოუკიდებელ საქართველოსი ხელსაყრელია, ის მოითხოვს, რომ მხოლოდ სასამართლოს წესით იქნეს დატუსაღება.

„როდის იქნება მოსპობილი ადმინისტრატიული წესი დატუსაღებისაო?“ გვეკითხებიან თარხანოვი და მისი კომპანია. მოსპობილი იქნება მაშინ, როდესაც საშუალებას მოგვცემენ ისეთ კალაპოტში ჩავაყენოთ საქართველოს ცხოვრება, რომ საკმარისი იყვეს მხოლოდ სასამართლოს წესით დატუსაღება.

ყველა გულწრფელად უნდა ხელს უწყობდეს საქართველოს აღმშენებლობის საქმეს და არ უთხრიდეს მას ძირს და მაშინ მე და საქართველოს მთავრობა შემოვიტანთ კანონპროექტს, რომ მოსპობილ იქმნეს ადმინისტრატიული წესით დატუსაღებისა (ძლიერი ტაში ყველა სკამზე).

კ. ნინიძე (ს. დ.) ბატონებო! როდესაც თარხანოვსა და მის კომპანიას ასეთი შეკითხვა შემოაქვთ—ეს პოლიტიკური ცინიზმია შეკითხვა არ არის მიმართული დემოკრატიული წყობილების და პარლამენტარიზმის განსამტკიცებლად. ბ. თარხანოვი და მისი ამხანაგები იმ ჯგუფს ეკუთვნიან, რომელიც არ სცნობს ჩვენს დამოუკიდებლობას და ჩვენ პარლამენტს (რ. გაბაშვილი ადგილიდან: რად შემოიყვანეთ პარლამენტში?) ბატონო გაბაშვილო ჩვენ პარლამენტარისტები ვართ, თუ არა და არც თქვენ შემოგიყვანდით.

დიაღ, პოლიტიკური ცინიზმია ასეთი პირებისაგან შეკითხვის შემოტანა. შეკითხვა შემოაქვთ და ადმინისტრატიული წესით დატუსაღების გაუქმებას მოითხოვენ ისინი, ვისაც ჰგონია, რომ გურიის გლეხობა და ჩვენი მუშები ნაკლებად მომზადებული არიან სოციალიზმისთვის, ვიდრე ჯავის ოსები და დუშეთის მეამბოხენი. თუ ასეთი მეამბოხენი ღირსნი არიან გამოქომაგების, ვიტყვი.. აქ მაგონდება რუსული თქმულება: „მითხარი, ვისი მეგობარი ხარ, გეტყვი, ვინცა ხარ (ტაში). მე მგონია ამ შეკითხვის შემომტანთ მხოლოდ სკანდალი უნდოდათ. ეს პირდაპირ დემონსტრაციაა და თვითონ შემკითხველს რომ მოეხსნა ის, როგორც ვეშაპელმა მოხსნა თავისი შეკითხვა, უკეთესი იქნებოდა.

ლ. შენგელია (ს.-რევ.) დეკლარაციის სთვლის შეკითხვას, რომელიც წარმოადგინა იმ ხალხმა, თავისი პოლიტიკური ფიზიონომია რომ ვერ გამოურკვევიათ.

ნ. თარხანოვი ილაშქრებს კ. ნინიძის წინააღმდეგ და სკანდალად და ცილისწამებად სთვლის მის მიერ წამოყენებულ ბრალდებებს. იგი ამბობს, რომ არც მინისტრმა გასცა არსებითად პასუხი.

იუსტიციის მინისტრი **შ. ალექსი-მესხიშვილი** ალბად თარხანოვის ქართული ენის უცოდინარობით აიხსნება ის, რაც მან სთქვა. მე გავეცი პასუხი იმ ტექსტის მიხედვით, რომელიც ხელთ მქონდა. მინისტრმა არსებითი პასუხი არ გამცა, ადმინისტრატული წესის მოსპობაზე შეკითხვაში არაა ნათქვამიო. აი, ბატონებო ტექსტი, სადაც სწერია: „რა ზომები მიიღო მთავრობამ ადმინისტრატიული წესით დატუსაღების მოსასპობადო“. ჩვენ გვებრძვიან სიტყვით, გვებრძვიან საქმით და გვეკითხებიან: „როდის მოსპობთ ადმინისტრატიული წესით დატუსაღებასაო“. მოვსპობთ მაშინ, როდესაც აილაგმებიან სინიდის ახდილი ადამიანები და სახელმწიფოს მტრები.

თქვენ შეგიძლიათ მხოლოდ ერთი ბრალი დასდოთ მთავრობას: ის მეტად ლმობიერია, „იმიტომ, რომ დემოკრატია ლმობიერია. მაგრამ დიდი დანაშაული იქნებოდა მის მხრით, რომ ზედმეტი ლმობიერება გამოეჩინა საქართველოს მტრების მიმართ და არ აელაგმა იგინი (ტაში).

სწორედ ამ დარბაზში იყო, როდესაც შარშან ქართველი დემოკრატია ამბობდა—ნუ გამოუცხადებთ ბრძოლას ბოლშევიკებსო, ხოლო თარხანოვმა შეკითხვა შემოიტანა—სისხლითა და მახვილით უნდა გაუსწორდეთ ბოლშევიკებსო. დღეს კი იგი მათ დამცველად გამოდის.

დე, იცოდეს ყველამ, რომ არავის მივცემთ ნებას თავისუფლად ითარეშოს ჩვენს ქვეყანაში და ძირი უთხაროს მის დამოუკიდებლობას (ტაში).

კ. ნინიძე (ს.-დ.) და ი. მაჭავარიანი (ნ.-დ.) თარხანოვისა და მისი კამპანიის წინააღმდეგ ილაშქრებენ.

გრ რცხილაძე (ს.-ფედ.) ბატონებო ამ შეკითხვის აზრი, ამ შეკითხვის მნიშვნელობა გავიგე მაშინ, როდესაც მოვისმინე მეორე სიტყვა შემკითხველისა. მან ცილისწამება უწოდა წამოყენებულ ბრალდებებს და სთქვა: „თუ შეგიძლიანთ, დაგვდე ბრალიო“.

ჩვენი საერთო სურვილია, რომ არ იქნეს ადმინისტრატიული წესით დატუსაღება. მაგრამ სურვილის ასრულებას შესაფერისი პირობები ესაჭიროება. თუ ისე დავაყენებთ საკითხს, როგორც ეს თარხანოვმა დააყენა, ჩვენ ვერასოდეს ვერ ვეღირსებით, რომ არ იქნეს ადმინისტრატიული წესით დატუსაღება.

ვისი ბრალია, რომ არსებობს ადმინისტრატიული წესი დატუსაღებისა? მთავრობისა? არა. ეს იმათი ბრალია, ვინც ძირს უთხრის ჩვენ დამოუკიდებლობას. ბრალი უნდა იკისრონ იმათ, რომელნიც ჰქმნიან ისეთ ატმოსფერას. რომ შეუძლებელია ნორმალური ცხოვრება.

კამათი შეკითხვის გარშემო ისპობა და კრება იღებს ს.-დ. რეზოლიუციას: „პარლამენტმა მოისმინა მთავრობის განმარტება პარლამენტის წევრთა თარხანოვისა და თუმანოვის შეკითხვის შესახებ, დაკმაყოფილებულია მთავრობის პასუხით და გადადის მორიგ საკითხებზე“ თარხანოვის რეზოლიუცია პარლამენტის მიერ უარყოფილია.

დასასრულ მდივანი ჰკითხულობს პარლამენტის წევრის დავით ხანიანის განცხადებას, რომ იგი ხსნის თავის შეკითხვას სამხედრო საიდუმლოების გამოქვეყნების შესახებ.

კრება იხურება ნაშუადღევის 4 საათზე.

ზავის გარშემო

ლოიდ ჯორჯის განცხადება.

ინგლისის პრესა 15 ნოემბერი. ლორდთა პარლამენტის წევრთა კოალიციის სხდომაზე ლოიდ-ჯორჯი კატეგორიულად მოითხოვდა, რომ გამარჯვება უნდა გამოიყენონ რეფორმებისთვის, რომელიც დაკავშირებულია შრომის და წარმოების ორგანიზაციის პრობლემასთან. ლოიდ-ჯორჯი შეეხო თანამედროვე რევოლიუციონურ მოძრაობას და სთქვა, რომ მას არ ეშინია არც რევოლიუციის, არც ბოლშევიზმის, ეშინია მხოლოდ რეაქციის და უთანხმოებისა.

ლოიდ-ჯორჯმა განუცხადა მუშათა კომიტეტს, რომ საზავო კონფერენციაზე დაუშვენ მათ წარმომადგენელს იმ პირობით, თუ მუშათა წარმომადგენელნი არ გავლენ მთავრობიდან.

ვილსონის განცხადება.

პრეზიდენტ ვილსონმა, გამოუცხადარა კონგრესის ორივე პალატას დროებითი ზავის პირობები, მოიხსენია ის ჰუმანიური ნაბიჯები, რომელიც გადადგმულია ცენტრალურ სახელმწიფოთა უმწეო მდგომარეობის შესამსუბუქებლად. პრეზიდენტი ვილსონი პესიმისტიურად უყურებს საზავო პირობათა ხანგრძლივობას და ამბობს, რომ თუ გერმანიის ხალხი მოისურვებს მშვიდობიანი გზით მოისპოს უთანხმოება იმ შემთხვევაში მოკავშირენი მას ყველაფერში დაეხმარებიან.

დელეგატები.

მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენელნი სპააში ჩავიდნენ, სადაც გერმანიის დელეგატებთან ერთად განიხილავენ დროებითი ზავის საკითხებს.

გერმანია და ამერიკა.

გერმანიის პრესა, ნოემბრის 15. ვაშინკტონში, სტატს-სეკრეტარს ლანსინგს. გერმანიის მთავრობა და გერმანიის ხალხი სიამოვნებით აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა გამოსთქვა სურვილი გერმანიას სურსათი მიაწოდოს. საჭიროა ამ საქმის დაჩქარება დროებითი ზავის მძიმე პირობების [illegible], განსაკუთრებით ის, რომ ჩვენი მცირედ სურსათით უნდა გამოვკვებოთ ფრონტიდან წამოსული ჩვენი ჯარი, ჩრდილოეთის და ბალტიის ზღვებში ბლოკადის გაგრძელებით გამოწვეული მიმოსვლის შეწყვეტა და აღმოსავლეთში უწესოებით ჩვენი საწყობების საფრთხეში ჩავარდნა—ჩვენ მდგომარეობას დღითი დღე აუტანელს ხდის. მხოლოდ სწრაფი დახმარებით შეიძლება ანარქიის აცილება. ამიტომ გვწამს რომ უქმი არ გამოდგება პრეზიდენტის მიმართვა, სადაც ვთხოვ გერმანიის ხალხი სიმშილსა და ანარქიას გადაარჩინოს და, რაც შეიძლება, მალე გამოგზავნოს ჰააკაში ან სხვაგან რწმუნებულნი, რომელნიც გერმანიის ხალხის რწმუნებულებთან ერთად ითათბირებენ იმაზე თუ რა გზით შეუძლია ამერიკის მეგობრულ დახმარებას დროზე ააცდინოს ჩვენი სამშობლო ხიფათს და ცუდი მდგომარეობიდან გამოიყვანოს. შესაძლებელია, რომ საქმის მდგომარეობა შესაძლებელად ხდის დახმარების საქმე გადაეცეს ბელგიაში თავის მუშაობით ცნობილი გ. სტუვერს გარეშე საქმეთა სტატს-სეკრეტარი სოლფი.

ტერიტორიის დაცვა.

დროებითი ზავის პირობების ცხოვრებაში გატარება წესიერად სწარმოებს. მეტის და მოზელის დეპარტამენტები უკვე დაცლილია. ხუ-პრეფექტი ბრიეი შეუდგა თავის თანამდებობის ასრულებას. საფრანგეთის ჯარი ელზას ლორენში შევიდა. საფრანგეთის მინისტრთა საბჭომ 3 კომისია დანიშნა მეტცში, სტრასბურგში და კოლმარში, რომელმაც უნდა, განაგოს განთავისუფლებული ოლქები. გერმანელებმა შუამდგომლობა აღძრეს ვილსონის წინაშე სურსათის გაგზავნის შესახებ. ვილსონი შუამდგომლობის ასრულებას დაჰპირდა. მხოლოდ იმ პირობით, თუ წესიერება დაცული იქნება.

ბრიუსელის მცხოვრებნი ოკუპატორების წინააღმდეგ აჯანყდნენ. გერმანელი ოფიცრები გარბიან იგივე ხდება ელზასში, რის გამოც გერმანიის სარდლობა შუამდგომლობს, რომ მცხოვრებლებთან ურთიერთობაში გენ. ფოში ჩაერიაო.

ფორვერტის აზრი

გერმანიის პრესა 15 ნოემბერი. გერმანიის ახალ წესწყობილების შესახებ „ფორვერტსი“ სწერს: „გერმანიის ფედერალურმა მთავრობამ თავისი თავი ცენტრალურ მთავრობად გამოაცხადა, რომელსაც შეუძლია გამოსცეს ბრძანება და რომელთაც კანონიერი ძალაუფლება აქვს. ამიტომ გერმანიის ავსტრია უნდა დაემორჩილოს ამ ბრძანებათ, რადგან ეს ბრძანებანი ფედერაციის საზღვარში სავალდებულოა და ავტორიტეტული ამ ახალ რესპუბლიკისათვის. ფედერალურმა მთავრობამ გამოაცხადა, რომ ის თავის ძალაუფლებას რომელიც აგრედვე ყოფილა რეიხსტაგის და ფედერალურ საბჭოს ავტორიტეტს შეიცავს, ისე უყურებს, როგორც დროებითს, ის აცხადებს დამფუძნებელ კრების მოწვევის შესახებ, რომლის არჩევნებში მონაწილეობა უნდა მიიღოს 20 წლის ზევით ორივე სქესმა საყოველთაო თანასწორი პირდაპირი და ფარული კენჭის ყრით. ყოველგვარი სხვა არჩევნებიც ამ საარჩევნო უფლების თანახმად უნდა მოხდეს „ფორვერტსი“ ამტკიცებს ამით ცხადი ხდება, რომ გერმანიის რესპუბლიკას ნამდვილად საბჭოთა კონსტიტუციის ტენდენცია არა აქვს და ესწრაფის დემოკრატიზაციას ჩვენი სოც.-დემოკრატიულ ერფურტის პროგრამის თანახმად. ამ მიმართულების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ კანონთა ძალით იაროს რუსეთის საბჭოს არჩევნები არ არის საყოველთაო. ცენტრალურ საბჭოს ირჩევს ადგილობრივი საბჭოები და ამიტომ არჩევნები არ არის პირდაპირი. მაშასადამე თანასწორი საარჩევნო უფლება იმ შემთხვევაში უფრო შეზღუდულია, ვიდრე პროპორციონალურ სისტემით წარმოებულ საგუბერნიო არჩევნების დროს. დასასრულ არჩევნებს ფარულების არავითარი გარანტია არა აქვთ და ამიტომ არჩევნები თავისუფალი არ არის ისე როგორც ძველ გერმანიაში რეხსტაგის არჩევნების დროს. ამის გამო საყოველთაო, თანასწორი პირდაპირი დაფარული ხმის მიცემა არ შეეფერება საბჭოთა კონსტიტუციას შემდეგ „ფორვერსცი“ ამბობს, რომ საბჭოთა თეორია ენათესავება პანგერმანულ ძალადობის თეორიას. გერმანიის რესპუბლიკის დღიური ლოზუნგი არა „მთელი ძალა უფლება საბჭოებს“, არამედ მთელი ძალაუფლება ხალხს, ამიტომ გაზეთი მხარს უჭერს საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირ და ფარულ ხმის მიცემას, დამფუძნებელ კრებას, ახალ ფედერალურ მთავრობას

ქება-დიდება ჩვენ, რომ მოწინააღმდეგეთ სრულ თავისუფლებას ვანიჭებთ რევოლიუციონურ მოძრაობაში და მის გარეშე მაშინ, როდესაც რუსეთში ბურჟუაზიის გარდა მენშევიკურათ მოაზროვნე სოციალისტებსაც აპატიმრებენ. შეუძლებელია ჩვენში მოხდეს ეს რადგანაც ჩვენში სამხედრო წესდება გავაუქმეთ.

მოკავშირეები და გერმანია.

ინგლისის პრესა, ნოემბრის 15. შეერთებულ შტატებთან ერთად მოკავშირეთა შორის შესდგა ორგანიზაცია, რომლის მიზანია დაეხმაროს დამშეულ მოწინააღმდეგეს. ვილსონმა აღუთქვა მოწინააღმდეგეს სურსათით დახმარება.

ვაშინგტონის გაზეთები იუწყებიან ცენზურის მოხსნის შესახებ.

რეიტერის სააგენტოს აუწყებენ, რომ ახლო მომავალში პრეზიდენტი ვილსონი ინგლისში გაემგზავრება.

იმბრუკიდან იუწყებიან, რომ ბავარიის ჯარმა დასცალა ტიროლი.

შეთანხმების სახელმწიფოთა წარმომადგენელნი სპააში ჩავიდნენ გერმანიის საქონლის ჩასაბარებლად. გერმანელთა დელეგატები ნანში ჩავიდნენ და რკინის გზები ელზას-ლორენის სამხედრო კომისიას ჩააბარეს. უკან დახევის დროს ჯარის კაცებმა რამდენიმე ოფიცერი დახვრიტეს. კრონპრინცი ჰოლანდიაში გაიქცა, სადაც მას იარაღი აჰყარა.

დანსინმა უპასუხა სოლფს მის რადიო დეპეშაზე, რომლითაც ის დაბეჯითებით მოითხოვდა ზავის ჩამოგდებას. რომ თანახმაა ასეთ წინადადებით მიმართოს ყველა მოკავშირეს.

ამსტერდამ. ამსტერდამიდან გერმანიის კრონპრინცი იუწყება გერმანიასთან დროებითი ზავის სწორ პირობებს.

დამოუკიდებელთა მოწოდება.

დამოუკიდებელ სოციალ-დემ. პარტიამ გამოუშვა მოწოდება შემდეგი სათაურით: ინტერნაციონალს. მუშებს, პარტიულ ამხანაგებს. მოწოდებაში თავდაპირველად დახასიათებულია გერმანიის რევოლიუციის მიზეზები და მიზნები. შემდეგ ნათქვამია, რომ დროებითი ზავის მკაცრი პირობები აძნელებს ახალ ცხოვრების აშენებას, თავისუფლების და ძმობის საფუძველზე: გერმანიის პოლიტიკოსები, რომელნიც ბრესტ-ლიტოვსკის სამარცხვინო საზავო ხელშეკრულებაზე დაითანხმდენ, ახლა არ უნდა სჩიოდენ, რომ მოკავშირენი ამცირებენ მათ. ჩვენ კი, როგორც ამ საზავო ხელშეკრულების წინააღმდეგ უნდა ვიბრძოლოთ მთელი ჩვენი ძალ-ღონით, ისე, როგორც ბუქარესტის ხელშეკრულების წინააღმდეგ ვიბრძოლი ჩვენი ძალ-ღონით.

საფრანგეთის შოვინისტები.

გერმანული პრესა. ნომ. 16. „ფოსიშე-ცაიტუნგი“ შიშობს, შვეიცარიიდან მიღებულ ცნობების გამო, რო საფრანგეთის შოვინისტური წრეებ ცდილობს რეინის მარცხენა მხარეზ მდებარე პრუსიის ნაწილები რაც შეი ლება მეტ ხანს დარჩეს ფრანგების ხელ ში, რათა ამ ხნის განმავლობაში მცხო ვრებთა შორის პროპაგანდა გასწიო საფრანგეთთან შეერთების სასარგებ ლოდ. ამ შეერთებას ისე მოიხდენე თითქოს ის მცხოვრებთა სურვილი იყო

რევოლიუცია გერმანიაში

სპარტაკის ჯგუფი.

სტოკჰოლმი. ნოემბრის 15. ბერლინის აღმასრულებელ კომიტეტში უმეტესი ნაწილი მემარჯვენე სოციალისტები მიუხედავად ამისა, რომ ლიბკნეხტს საერთო პატივისცემა აქვს დამსახურებული. სპარტაკის ჯგუფი ყველგან გამოთიშეს. ბერლინის მემარცხენე გაზეთები მოუწოდებს ხალხს დარჩენ ქუჩაზე და ხელიდან არ გაუშვან რევოლიუციის საქმე. დამოუკიდებელთა ორგანო, შეიდემანის პარტიის წინააღმდეგ გამო აქა-იქ ჩასაფრებულ აფიცრებთან შეტაკება ხდება.

ლიბკნეხტის გაზეთი.

ბერლინი. 15—11. ლიბკნეხტის ორგანო „წითელი დროშა“ რომე შეიდემანის მთავრობა წინააღმდე უწევს, მაინც გამოდის, მაშინ როდე ებერტი და მისი ჯგუფი მოითხოვს გაუ ქმებულ იქნას საკავშირო ხასიათი მმართველობა და გერმანია საბჭოთა რესპუბლიკათ გადაკეთდეს.

ახალი მთავრობის პროგრამა.

პრუსიის დროებითი მთავრობამ თავისი პროგრამა გამოაქვეყნა სადაც აღ ხადებს: „ის, რასაც ჩვენ ვესწრაფოდი ესე-იგი თავისუფლება ზავი და პურ მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება უზ რუნველყოფილი, თუ ქალაქში და სო ფლებში ეკონომიური ცხოვრება საჭირ სიმაღლეზე სიმაღლეზე იქნება, ამიტო შეკავშირდით და ყველას სასარგებლო იმუშავეთ. „შემდეგ პროგრამაში ნათ ქვამია, რომ შიმშილის პერსპექტი რომელიც განსაკუთრებით ქალებს, შვებს და ავათმყოფთ ემუქრება, შე

ლება ავიცდინოთ მხოლოდ ძალთა შეკავშირებით. დროებითი მთავრობა ამოწმებს, რომ პრუსია, ისე როგორც გერმანია და სხვა ფედერალურ სახელმწიფოები, ხალხის სურვილისამებრ თავისუფალ სახელმწიფოდ გადაიქცა და ამიტომ ძველი პრუსია უნდა განახლდეს და შეერთებულ სახალხო რესპუბლიკის სრულიათ დემოკრატიულ ნაწილად უნდა გადაიქცეს. დროებითმა მთავრობამ, რომელიც მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოზე ეყრდნობა, მართვა-გამგეობა ხელში აიღო გერმანიის ახალ მთავრობასთან მჭიდრო კავშირით, რომ სახელმწიფოში წესრიგის დაცვისა, და მცხოვრებთა გამოსაკვებათ იზრუნონ. პრუსიის მომავალ სახელმწიფო დაწესებულებათა და მათი გერმანიის სხვა სახელმწიფოებთან და უცხოეთის სახელმწიფოებთან დამოკიდებულობის საკითხს გადასწყვეტს დამფუძნებელი კრება, რომლის არჩევნები მოხდება თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ორივეს სქესის პირთა მონაწილეობით და პროპორციონალურ სისტემით. დროებითი მთავრობას ამ მხრივ იმედი აქვს მცხოვრებთა გონიერებისა და კეთილ სურვილისა საერთოდ, და განსაკუთრებით კი სახელმწიფოს ყველა მოსამსახურეთა და დამოუკიდებელ კორპორაციების შეგნებულ თანამშრომლობისა.

ახალი სტატს-სეკრეტარი.

გერმანულ-ავსტრიის რესპუბლიკის გარეშე საქმეთა სტატს-სეკრეტრად აირჩიეს სახელმწიფო საბჭოს წევრი, სოციალ-დემოკრატი დოქტორი ედენბოგენი.

წითელი გვარდია.

მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა, რომ სახალხო გვარდიის შედგენა საჭირო არაა, რადგანაც ჯარმა თვითონ განაცხადა, რომ მზადაა მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის ბრძანებანი აასრულოს, დაიცვას რევოლიუციის მონაპოვარი და სისხლი დაღვაროს, თუ ეს საჭირო იქნება სოციალურ რესპუბლიკის განსამტკიცებლად.

რევოლიუცია ევროპაში

საფრანგეთში.

სტოკჰოლმი 15—11. შვეიცარიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ საფრანგეთის სხვა და სხვა ქალაქებში რევოლიუციონური მოძრაობა გაჩაღდა. პარიზში მიტინგები და დემონსტრაციები გაიმართა. მუშებმა მოითხოვეს პატიმრების დაუყონებლივ განთავისუფლება. პარიზიდან მიღებულ ცნობებით საფრანგეთის ფრონტზე ჯარისკაცთა საბჭოები დაარსებულა და გერმანეთთან საბჭოსთან მოლაპარაკებას შესდგომია.

ბერნი. 15—11. კოშენმა შუამდგომლობა აღძრა მლემანის წინაშე გაანთავისუფლოს ყველა დაპატიმრებული მუშათა წინამძღოლი. მთავრობა ზომებს იღებს მუშათა ექსცესიების წინააღმდეგ.

ჰოლანდია. როტერდამი. 15—11. ჰოლანდიის სოციალ-დემოკრატები შეთანხმდნენ, შემდეგი პროგრამა წამოაყენეს: საყოველთაო საარჩევნო უფლება, სენატის გაუქმება, რვა საათის სამუშაო დღე და ჯარის დაუყოვნებლივ განიარაღება. რამოდენიმეჯერ გაიმართა დიდი სახალხო კრება, სადაც სოციალიზმის განხორციელებას მოითხოვდნენ.

უცხოეთი

უკრაინაში.

მოსკოვი. ნოემბრის 16. კიევი, ნოემბრის 15. „გუშინ კიევში სტუდენტებმა საპროტესტო დემონსტრაცია გამართეს სტუდენტების ჯარში გაწვევის გამო. ღამით დემონსტრანტ სტუდენტებს ოფიცერთა რაზმმა ტყვია დაუშინა. მოკლულია 8 კაცი. დაჭრილთა რიცხვი დიდია, ქალაქის უფროსის განკარგულებით დღეს ყველა უმაღლესი სასწავლებლები დახურეს. ტელეფონით კერძო ლაპარაკი აკრძალულია: ქალაქში მღელვარებაა.

უკრაინაში მყოფი ყველა სამხედრო ნაწილი გენ. დენიკინს დაუქვემდებარეს. გენერალურ შტაბის უფროსმა განაცხადა, რომ ბოლშევიკების წინააღმდეგ მთლიანი ფრონტი უნდა შეიქმნას. ამ ფრონტზე უკრაინამ შესაფერი ადგილი უნდა დაიკავოს. გამოიცა სწრაფი განკარგულება, რომელიც უკრაინის ყველა კორპუსებს დაეგზავნა დეპეშით. ბრძანებაში ნაჩვენებია რადგანაც ბოლშევიზმის საფრთხე ძალიან იზრდება. საჭიროა ჯარის გაძლიერება.

ავსტრიაში.

გერმანული პრესა, ნოემბრის 16. ჩეხოსლოვაკების რესპუბლიკის პრეზიდენტად პროფესორი მასარიკი აირჩიეს, პრემიერ-მინისტრად დ-რი კრამარჟი.

გალიციის სოც.-დემ. პარტიის ლიდერი დაშინსკი პოლონეთის მთავრობის პრემიერ-მინისტრად დაინიშნა. მასვე აქვს მინდობილი კაბინეტის შედგენა. „გერმანიამ“ გამოაქვეყნა ბერლინის ცენტრალურ პარტიის წევრთა მანიფესტი. მანიფესტი მოითხოვს წესრიგის და უფლების დაცვას და ეროვნულ კრების საარჩევნო ფურცლების დაუყოვნებლივ დამზადებას, გერმანიის ხალხს სურს სამართლიანი და მტკიცე ზავი.

ახალი ამბავი

◆ **სამხედრო ცნობები.** სამხედრო მინისტრმა რედაქციებს ცირკულიარი დაუგზავნა, სადაც აღნიშნავს, რომ ყველა სამხედრო ცნობები, რომელიც ჯარების გადაყვან-გადმოყვანას, მათ რიცხვიერებას, სამხედრო პუნქტებს, სიმაგრეთა მდებარეობას და გზებს ეხება, სამხედრო სამინისტროს საერთო განყოფილების ნება-დაურთველად არ მოათავსონ ხოლმე გაზეთებში.

◆ **გენერ.-გუბერნატორის ბრძანება:** ტფ. გენერალ-გუბერნატორმა მაზნიაშვილმა ბრძანება გამოსცა, რომლის ძალითაც ტფილისის ქუჩებში ღამის 12 საათის შემდეგ დილის 5 საათამდე აკრძალულია სიარული, ყველა მოქალაქესთან უნდა ჰქონდეს თავის პიროვნების მოწმობა, ყველა სახლის წინ უნდა იყოს მეეზოვე, სახლის პატრონთ ევალებათ სამი დღის განმავლობაში დაწვრილებით ჩასწერონ მდგმურების რაოდენობა და ვინაობა და სახლის ფარანი აანთოს. ქალაქის ყველა ქუჩა უნდა განათდეს და სხვა.

◆ **ჯამალიანის შუამდგომლობა.** სომეხთა წარმომადგენელი ჯამალიანი შუამდგომლობს საქართველოს გარეშე საქმეთა მინისტრის წინაშე, რომ საერთო სადავო საკითხების გადაწყვეტამდე ნება მიეცეთ სომხებს ადერბეიჯანიდან, საქართველოს ტერიტორიაზე გაატარონ სომხეთისაკენ 40 ვაგონი ნავთი, 70 ვაგონი მაზუთი და 9 ვაგონი ბენზინი.

ამ ნებართვის სამაგიეროდ ჯამალიანი პირობას იძლევა, რომ აღნიშნულ მასალების 20 პროცენტი საქართველოს მიეცემა.

◆ **ქართველთა დაბრუნება.** ნოემბრის 15 ს მოსკოვიდან საქართველოში დაბრუნდა 60 ქართველი, რომელთა შორის სამხედრო პირნიც არიან.

◆ **ბონების გამოშვებისათვის.** მთიელთა რესპუბლიკების მთიელთა ფინანსთა მინისტრმა ჯაბაგირმა საქართველოს გარეშე საქმეთა მინისტრს ნოტა წარუდგინა, სადაც ის აღნიშნავს რა საქართველოს მთავრობის წარმომადგენელთან მოლაპარაკებას და ადერბეიჯანის მთავრობის თანხმობას, მიმართავს მინისტრს, რომ მთიელთა რესპუბლიკის მთავრობამ დაადგინა, მიიღოს მონაწილეობა ამიერკავკასიის ბონების დამატებითი გამოშვებაში, საქართველოსა და ადერბეიჯანის მთავრობათა საფუძველზე, ჯაბაგირი სთხოვს გარეშე საქმეთა მინისტრს, საქართველოს მთავრობამ მხედველობაში მიიღოს ეს დადგენილება.

◆ **გერმანელი კოლონისტები.** კავკასიაში მყოფ გერმანელთა კავშირი სთხოვს საქართველოს მთავრობას, რათა საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ გერმანელ კოლონისტებს არ ჩამოართვან ის იარაღი, რომელიც მათ ხელში გადავიდა რუსეთის „ნემეცთა“ მსროლელ პოლკის დაშლის შემდეგ.

◆ **ივ. ვარაზაშვილის განთავისუფლება.** ნოემბრის 17-ს მეტეხის ციხიდან გაანთავისუფლეს ყოფილი პარლამენტის წევრი ივანე ვარაზაშვილი.

◆ **ვერის ხიდის აფეთქების განზრახვა.** ნოემბრის 17-ს ვერის ხიდის მარჯვენა ნაპირზე აღმოაჩინეს დინამიტები და სხვა ასაფეთქებელი მასალები. ბოროტ-მოქმედების ადგილს მივიდა გენერალ-გუბერნატორი მაზნიაშვილი. დაწვრილებითი ცნობები ჯერ არ არის.

◆ **ჯარში გაწვევა.** სომეხთა მთავრობამ შეიმუშავა კანონი, როლის ძალითაც, დაუყონებლივ ჯარში გაწვეულ იქმნებიან სომეხი ახალგაზრდები 20-დან 25 წლამდე.

◆ **აშუღების სალამო.** ხუთშაბათს, ნოემბრის 21-ს სახელოსნო კლუბში გაიმართება „აშუღების სალამო“ ჰაზირას თაოსნობით.

◆ **ვალ. შალიკაშვილის ავადმყოფობა.** მეორე თვეა, რაც მძიმე ავად არის ჩვენი ნიჭიერი მსახიობი ვალ. შალიკაშვილი. ექიმები თითქმის იმედს აღარ იძლევიან. საზოგადოება უთუოდ მიხვდება, რა მატერიალურ გაჭირვებასაც განიცდის ავადმყოფი. საჭიროა დაუყონებლივი დახმარება.

◆ **„ჯარი და ერი“.** რედაქციას მოუვიდა პირველი ნომერი ყოველ-კვირეულ ჟურნალის „ჯარის და ერისა“. ჟურნალი მოზრდილი ფორმატისაა და შეიცავს 16 გვერდს. აქვს დასურათებული ყდა და ღირს ორი მან. ჟურნალში მოთავსებულია სხვა და სხვა ხასიათის წერილები.

◆ **ტფილისის საგუბერნიო კომიტეტი** ოთხშაბათს, 20 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე დანიშნულია ტფილისის საგუბერნიო კომიტეტის არაჩვეულებრივი სხდომა. განსახილველია მნიშვნელოვანი საკითხები. პრეზიდიუმი სთხოვს წევრებს დროზე და უეჭველად მოვიდნენ სხდომაზე.

◆ **ტფილისის ხიდების შეკეთება.** ქალაქის თვითმართველობამ ინჟინერ მუხრანსკის თხოვნის თანახმად გადასდო 18400 მანეთი ტფილისის ხიდების შესაკეთებლად.

◆ **მოხელეთა კრება.** ტფილისის სახელმწიფო დაწესებულებებში მოსამსახურეთა კავშირი ნოემბრის 25-ს კრებას ჰმართავს სააქციზო სამართველოს შენობაში. კავშირი სთხოვს მოხელეებს აირჩიონ დელეგატები ამ კრებისათვის.

◆ **გერმანულ-კავკასიური სავაჭრო სახლი.** ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე გაიხსნა გერმანულ-კავკასიური სავაჭრო სახლი.

◆ **ლექციები,** დღეს ნოემბრის 19 ნაძალადევის სახალხო უნივერსიტეტში დანიშნულია მორიგი ლექციები ექ. ტურიაშვილისა და მაისურაძისა.

◆ **გერმანელ ჯარისკაცთა საბჭო.** საქართველოში მყოფ გერმანელთა ჯარებს გერმანიის დელეგაციის თავმჯდომარემ გენ. კრესსმა დელეგაციის წევრთა თანხმობით გადასცა კოვნის ჯარისკაცთა საბჭოს ბრძანება ჯარისკაცთა საბჭოების დაარსების შესახებ და წინადადება მისცა აქაც აერჩიათ საბჭო. ჯარისკაცებმა ამის თაობაზე მსჯელობა გამართეს, რომელიც კარგა ხანს გაგრძელდა. იყო ისეთი აზრიც, რომ აქ საჭიროება არ მოითხოვს ამისთანა საბჭო დაარსდესო. გადაწყდა დაარსდეს საქართველოში მყოფ გერმანელ ჯარების საბჭო, რაც უკვე ფაქტია. თავმჯდომარედ აირჩიეს სოც.-დემოკრატი ლებრიხი.

◆ **ნავთი ბაქოდან.** სამი დღის წინად ბაქოდან მიღებულ საქართველოსთვის 42 ცისტერნი ნავთიდან ქალაქის გამგეობას გადასცეს მარტო 4 ცისტერნი ნავთი. 31 ცისტერნი ნავთი გადაეცა ტფილისშივე რკინის გზების საჭიროებისათვის და დანარჩენი ნავთი გაიგზავნება დასავლეთ საქართველოში. გუშინწინ ტფილისში კიდევ 50 ცისტერნი ნავთი ჩამოიტანეს ბაქოდან საქართველოში გასანაწილებლად.

◆ **ნავთი ორთქმავალისთვის.** ბაქოდან ნავთის გამოტანის განახლების გამო საქართველოს რკინის გზებზე მატარებლების მიმოსვლისათვის შეუდგნენ ისევ ნავთის ხმარებას ქვა-ნახშირის მაგივრად, რომელიც გარდა უვარგისობისა რკინის გზების გამგეობას უფრო ძვირად უჯდებოდა. ამ ჟამად შეუდგნენ ორთქლმავალების გადაკეთებას ნავთის სახმარებლად.

საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

საზოგადო კრება. ოთხშაბათს, ნოემბრის 21-ს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიულ მთავარ კლუბში პარლამენტის წევრი ამხ. აკაკი პაპავა წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: ,,ახალი პერსპექტივები‘‘. დასაწყისი 7 ს. ამხანაგებს ვსთხოვთ ნუ დაიგვიანებენ.

—

დუშელ ამხანაგებს, რომელნიც იყვნენ დუშეთის მაზრაში არჩევნების გამო ვთხოვთ აუცილებლად და უკლებლივ დაესწრონ კრებას სამშაბათს, საღამოს 8 საათზე „სახალხო საქმის“ რედაქციაში.

ტფილისის საგუბერნიო კომიტეტის კრება. ოთხშაბათს, ნოემბრის 20 დანიშნულია საგუბერნიო კომიტეტის საგანგებო კრება. დასაწყისი საღამოს 7 ს. წევრებს ვთხოვთ აუცილებლად დაესწრონ.

—

საორგანიზაციო სექციათა კრება. დღეს, ნოემბრის 19-ს, საღამოს ექვს საათზე ტფ. საგუბერნიო კომიტეტის ბინაზე დანიშნულია შეერთებული სხდომა მთავარ კომიტეტის და საგუბერნიო კომიტეტის საორგანიზაციო სექციისა. განსახილველია სასწრაფო და მნიშვნელოვანი საკითხები. დასწრება სექციათა წევრებისა სავალდებულოა.

ამხ. გრიგოლ ჭუმბურიძის ხსოვნას

მეტად სამწუხარო და გულის სიღრმემდე უადრესად აღმაშფოთებელი ამბავი გვემცნო; ვიღაც ბოროტ-გამზრახველებს საზიზღარ მიზნებით აღტყინებულთ, ვერაგულად და მზაკვრულად სიცოცხლისათვის გამოუსალმებიათ ჩვენი საუკეთესო პარტიული ამხანაგი სტუდენტი გრიგოლ ჭუმბურიძე.

ვის არ აღაშფოთებდა და გულს სევდა-მწუხარებით არ აღუვსებდა ჩვენი ძვირფასი მეგობრის ასე მოულოდნელი, უცაბედი სიკვდილი? ვინც კი იცნობდა განსვენებულს, არა მგონია მისი გული მწვავე მწუხარებამ არ მოიცვას და არ დაალონოს იმ დანაკლისმა, რომელიც გამოიწვია მისმა უდროვო სიკვდილმა.

რად და რისთვის მოუსპეს ნორჩი სიცოცხლე უმაღლეს იდეებით, წმინდა, სპეტაკ ზრახვა—მისწრაფებით გატაცებულ ადამიანს? რად და რისთვის განგმირეს ასე მუხთალად, მუხანათურად და ვერაგულად მისი გული ბნელმა ძალებმა, ყოვლად საზიზღარმა და გათახსირებულმა ადამიანებმა, ის გული, რომელიც ძვირფას სამშობლოს კეთილდღეობის წმინდა იდეალის თავ-განწირვისა და თავდადებისათვის თრთოდა, რომელიც სამშობლოსადმი სპეტაკ სიყვარულით აღგზნებული ჰფეთქდა? რად? მისთვის?

გრიგოლ ჭუმბურიძე მოჰკლეს!—ამ სტრიქონებს რომ ვსწერ ხელი მიცახცახებს, გული მითრთის და სული ყელში მეჩრება!..

განსვენებული გრიგოლ ჭუმბურიძე როგორც კი შესდგა ჩვენი პარტიზანული რაზმი, მაშინვე ჩაეწერა და დღემდე პირნათლად და უნაკლოდ ასრულებდა თავის მოვალეობას. როდესაც ჩვენი რაზმი გაემგზავრა ტრაპიზონში, გრიგოლი მას თან გაჰყვა. იმ დღიდან მოყოლებული იგი ერთგული და თავგანწირული მებრძოლია თვის საყვარელ სამშობლოს კეთილდღეობისათვის და ჩვენი რაზმის ყოველ ექსპედიციაში მონაწილეობას იღებს—ნატანებთან, აწყურთან, დუშეთში, სამეგრელოში და სხვ...

ამ უკანასკნელ დროს, როდესაც დაუვიწყარი ამხანაგი არჩილ საყვარელიძე ჩამოასვენეს სამეგრელოდან, მის ცხედარს ჩამოჰყვა ტფილისში და მის შემდეგ პარტიზანულ პოლკში აღარ წასულა.

მშვიდი, წყნარი, სპეტაკი, ყოველთვის გულ-წრფელი და უწყინარი— აი ვინ იყო გრიგოლ ჭუმბურიძე. ამხ. გრიგოლი მეტად გატაცებული იყო საზოგადო საქმეებით, ფხიზლად, გულის ფანცქალით ადევნებდა თვალს ჩვენის სამშობლოს ბედს და ახალ-ახალ ცვლილებებს პოლიტიკურ საზოგადოებრივ ცხოვრების ასპარეზზე. ყოველი ცნობა სამშობლოსათვის საკეთილო მასში განუსაზღვრელ აღტაცებას და აღფრთოვანებას იწვევდა და სცდილობდა ეს საკუთარი განცდა, გრძნობა სიხარულისა და აღტაცებისა სხვებისთვის გადაეცა.

გრიგოლ ჭუმბურიძე—რაოდენ ნეტარი მოგონება და ტკბილი განცდაა შეკავშირებული ამ ჩემთვის საუკეთესო მეგობრის და ამხანაგის სახელთან. ამას წინედ მე და გრიგოლს საერობო არჩევნებისათვის სამუშაოდ მოგვიხდა წასვლა სოფ. კვეთისხევში. როდესაც სოც.-დემოკრატების ყოვლად შეუწყნარებელმა მოქმედებამ, სრულიად აშკარად დარღვევამ საარჩევნო წესებისა და შებღალვამ, ფეხ-ქვეშ გათელვამ სამართლიანობის პრინციპისა საზღვარს გადააცილა, გრიგოლმა, ყოველთვის მშვიდმა, წყნარმა და უწყინარმა, ვეღარ მოითმინა და აღშფოთებით წარმოსთქვა: ჩემს საკუთარ სიცოცხლეს აქვე გავსწირავ და თქვენ მიერ შებღალულ, შელახულ და ფეხ-ქვეშ გათელილ სიმართლეს აღვადგენ და ჩვენი პარტიის შეურაცხყოფის უფლების ნებას არ მოგცემთ, თუნდ საკუთარ სიცოცხლის განწირვა მომიხდეს ამისთვის. უნდა გენახათ მაშინ ამხანაგი გრიგოლი.—როგორ ცეცხლის ნაპერწკლებს აფრქვევდნენ მისი თვალები და საშინელ მრისხანებას მოეცვა მთელი მისი არსება მათ მიერ ჩადენილ უსამართლოებებისა გამო...

გრიგოლ ჭუმბურიძის სიკვდილით პარტიამ დაჰკარგა ერთი ჩუმი, წყნარი, თავდადებული და გულ-წრფელი მომუშავე პარტიისათვის და საუკეთესო მებრძოლი მისი იდეალებისთვის; ხოლო სამშობლომ კი—ერთი მისი გულ-წრფელი მოყვარული, მოტრფიალე და თავ-განწირული მედგარი მებრძოლი მისი კეთილდღეობისა და საუკეთესო მომავლისათვის

მშვიდობით, ძვირფასო და საუკეთესო ამხანაგო და მეგობარო გრიგოლ! შენი ხსოვნა მარად აღმოუფხვრელი დარჩება ჩემს გულში და ყოველთვის მწარე სევდას და მწვავე მწუხარებას გამოიწვევს შენი ასე ვერაგული და მზაკვრული მკვლელობა ბნელი ძალების მიერ!

შენი ხსოვნა მარადიული და დაუვიწყარი იქნება აგრეთვე ყოველ შენ ამხანაგის გულში!

მშვიდობით ჩემო ძვირფასო მეგობარო გრიგოლ, მშვიდობით!..

გიგ. კიკნაძე.

სისხლში გასვრილი ხელები დაშნაკელ[illegible]

ის, რაც დღეს სომეხ ლტოლვილთა გარშემო ხდება, არის პირდაპირი გაგრძელება იმ დამღუპველ პოლიტიკისა, რომელსაც თავიდანვე აწარმოებდნენ დაშნაკელები. დაუსრულებელი პროვოკაცია, მუდამ იარაღის ჟღარუნი, სისხლის წყურვილი და შემდეგ კი დაჩაგრულის მანტიაში გახვევა და მთელი ქვეყნის წინაშე თავის შებრალება,—აი გზა, რომელსაც მისდევენ სომხის ხალხის მესვეურები და მიუხედავად მრავალ გზის გაკვეთილისა, დღესაც არ ღალატობენ ტრადიციას, დღესაც განაგრძობენ სისხლში გასვრილი ხელების ფათურს.

ერთი კვირაა დაშნაკელები ყოველ წრეს გადასულ საზიზღარ პროვოკაციას ეწევიან ახალ ქალაქის სომეხ ლტოლვილთა დაბრუნების საკითხის გარშემო. ვინც საქმის ვითარებას ნამდვილათ არ იცნობს, იფიქრებს, რომ საქართველოს მთავრობა მართლაც საშინელ გზას დასდგომია და სომხის ხალხის გასაუბედურებლად ზომებიც კი მიუღია.

ახალქალაქის ლტოლვილთა საკითხი და ამ ხალხის გადმოხვეწის მიზეზები ჯერ კიდევ ჩვენი საზოგადოებისათვის უცნობია. არც მთავრობამ და არც საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა არ იციან დანამდვილებით რა იყო მიზეზები მთელი მაზრის მცხოვრებთა გადმოხვეწისა.

ჩვენ, ვინც ამ რაიონებში ბათუმის ზავის წინა დღეებში ვმუშაობდით, ჯერაც არ გვითქვამს სიმართლე, ჯერაც არ გვიმხელია უბედურების გამომწვევნი, შეიძლება ეს უდიდესი დანაშაული იყვეს ხალხის წინაშე, შეიძლება მიუტევებელი ცოდვად ჩაგვეთვალოს დღემდე დუმილი, მაგრამ ჩვენ ვფიქრობდით, რომ იმ ხანებში ამის თქმა, ეს იქნებოდა ცეცხლზე ნავთის დასხმა, ისედაც გაღვივებულ ნაციონალურ შუღლისა კიდევ უფრო გაღვივება და ახალი სისხლის მორევის დაყენება.

დღეს კი, ვინაიდან თავის ცოდვებს დაშნაკელები ჩვენ გვაბრალებენ და ამით სურთ ხალხის რისხვა აიცილონ, მოვალე ვართ ვთქვათ ყოველივე, ფარდა ავხადოთ იმ საშინელ საიდუმლოებას, რომელიც ახალქალაქის მაზრის უბედურ გლეხკაცობის ზურგს უკან იმალება. შეიძლება მოიგონონ ამ სურათებიდან თვით ხორიანებმა, თუ რას შვრებოდნენ იქ მათი ამხანაგები, რომლებთანაც თვითონაც მჭიდრო კავშირი ჰქონდათ.

მკითხველებს ეხსომებათ, რომ ამიერკავკასიის სეიმში ერთხელ შეკითხვა შეიტანეს არტაანის სომეხთა ჟლეტის შესახებ და საქვეყნოდ დაგმეს ის მხეცური მოქმედება, რომელიც იქ მაჰმადიანებმა ჩაიდინეს. ყველაფერს თავისი გამომწვევი მიზეზები აქვს და აქაც ამ სისხლის ღვრის სათავე სხვაგან იყო. მე ვაცხადებ, რომ არტაანის სისხლის ღვრა იყო პირდაპირი შედეგი იმის, რაც ახალქალაქის მაზრაში ჩაიდინეს დაშნაკელებმა. არტაანის უბედურების სწორედ ერთი კვირის წინად ახალქალაქელმა დაშნაკელებმა ააწიოკეს ქართველ მაჰმადიანთა ისტორიული სოფელი გოკიო. აქ მოქმედებდა ხორიანისთვის კარგად ცნობილი უსუფ ხეჩო, რომელმაც თავის „ზინვორების“ შემწეობით ალყა შემოარტყა სოფელ და აიკლო რა ის, ბრძანება გასცა ქალები და ბავშვები ტყვედ წაეყვანათ, ხოლო სოფელი კი მიწასთან გაესწორებინათ, ისეც მოხდა. ერთხელ კიდევ დაახგრიეს ისედაც არა ერთხელ გახადგურებული ისტორიული სოფელი ძველი მესხეთისა. დღემდე მას ანადგურებდნენ მუდამ ოსმალოთა ურდოები, დღეს კი სოფ. გოკია წილად ხვდა დაშნაკელებს. მე ხაზს ვუსვამ, რომ სოფელ გოკიას განადგურების ინიციატივა ეკუთვნოდა ახალქალაქის სომეხთა ნაციონალურ საბჭოს, რომლის სათავეში იდგნენ დაშნაკელი ქალაქის თავი მარქაროვი და აივაზოვი. ამავე საბჭოს განკარგულებით მისცეს უსუფ ხეჩოს ახალქალაქიდან ზარბაზნები, რომელიც დაუშინეს მშვიდობიან სოფელს და როცა მამაკაცებმა გაქცევით თავს უშველეს, ხიშტებზე წამოაგეს ბავშვები და ქალები, ხოლო ვინც გადარჩა, ტყვედ წაიყვანეს სომხების სოფელ ალასთანში.

ამას მოყვა არტაანის სომეხთა ხოცვა-ჟლეტა, რომელშიაც პირდაპირ მონაწილეობას ღებულობდნენ გოკიელი მაჰმადიანები, რომელთაც გაუნადგურეს სოფელი, დაუწვეს სახლები, მოსტაცეს მთელი ქონება და შემდეგ კი სოფლის დათესილი ყანები დაუნაწილეს სომხების სამ სოფელს.

აქედან დაიწყო ის უბედურება, რომელსაც შემდეგ მოჰყვა მთელი მაჰმადიან სოფლების ფეხზე ადგომა და განუწყვეტელი სისხლის ღვრა. სწორედ ამ ხანებში ახალციხის მიდამოებში ასეთივე გართულებული მდგომარეობა იყო და დაშნაკელთა „ზინვორები“ ყოველ-დღე ატყვევებდნენ მაჰმადიანთა ბავშვებს და ქალებს, მოჰყავდათ ახალციხეში და შემდეგ იწყებოდა მოლაპარაკება და ნამდვილი ვაჭრობა. დაშნაკელ ხორიანს, ახალციხის ყოფილ ქა-

ქალაქის თავს და ეხლა კი საქართველოს პარლამენტის წევრს, ალბად, ახსოვს ეს სურათები, მას ეხსომება ის შემთხვევაც, როცა დაშნაკელთა ზინვორები ყუმბარებით მისცვივდნენ ახალციხის ციხეში ჩაყრილ მაჰმადიან ბავშვებს და ქალებს და რომ ახალციხეში მაშინ მყოფი ყვარიელი სახალხო გვარდიელები არ მისწრებოდნენ, შეიძლება ახალქალაქის მზგავსად აქაც დაღვრილიყო უდანაშაულო ხალხის სისხლი.

მაგრამ ეს იყო დასაწყისი. საქმე თანდათან რთულდებოდა. ბეგები გამალებით ემზადებოდნენ ოსმალთა მოსაპატიჟებლად და ადგილობრივად რაზმებს ადგენდნენ ასკერების დასახმარებლად. ჯავახეთის ქართული რაზმი იდგა თავის სოფლების ხაზზედ და მედგრად იცავდა თავის კარ-მიდამოს. თვით ახალქალაქის დამცველი კი, სომხების პოლკი იყო, რომელმაც უბრძოლველად დასტოვა ქალაქი. მაგრამ აქ მოხდა ერთი უდიდესი და შემაძრწუნებელი მხეცობა, რომლის მსგავსი სომეხ-თათართა უთანხმოებას არ ახსოვს, რამაც გამოიწვია შემდეგ მთელი მაზრის ხალხის გადმოხვეწა და ის შიმშილ-სიცივისაგან ბაკურიანის ტყეებში საფლავებამდე მიიყვანა.

ახალ ქალაქის ახლოს არის ძველი ქართული სოფელი ხოსპია, სადაც ეხლა გამაჰმადიანებული ქართველები, გვარად ფალავანდიშვილები ცხოვრობენ. დაშნაკელებმა მთელი ეს სოფელი ტყვედ წამოიყვანეს ახალქალაქში. მათ არ დაინდვეს თვით მამად-ალიბეგ ფალავანდიშვილი, რომელიც ცნობილი ქველმოქმედია, მაშინ იყო ჯავახეთის ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარედ და ყველა კულტურულ საზოგადოებებს უხვ დახმარებას აძლევდა, ნახევრად მის ხარჯზედ გაიხსნა შარშან ახალქალაქში ქართული გიმნაზია, სადაც ქართველი მაჰმადიანი ბავშვებიც შეჰყავდათ. ფალავანდიშვილის ოჯახი დაატყვევეს დაშნაკელებმა და მისი ქონება კი დაიტაცეს. ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ იძულებული არ შევიქენით უკან დაგვეხია და ორი მაზრა ბათუმის ხელშეკრულებით მტრისთვის ჩაგვებარებინა. მაგრამ სწორედ ამ დროს მოხდა ერთი უდიდესი მხეცობა, რომლის მსგავსი ჯერ არ მინახავს. ქალაქის დატოვების წინ გამოიყვანეს ხოსპიელი მაჰმადიანები ახალქალაქის ქუჩებზე და ყველას თავები მოჰკვეთეს. დასტოვეს მხოლოდ მამად-ალი ბეგ ფალავანდიშვილი ოჯახით, რომელიც დაშნაკელებს ქალაქიდან სადღაც მიყავდათ. სწორედ ამ დროს იხევდა საზღვრებისაკენ ჯავახეთის ქართული რაზმი, რომელმაც გადაარჩინა ფალავანდიშვილი და ტფილისში გამოგზავნა ოჯახობით.

ყველა ამის შემდეგ მაზრის მცხოვრებლები შიშით ვეღარ დადგნენ თავის სოფლებში, ეშინოდათ შურისძიების და დაიძრა უთვალავი ხალხი, დააგდო თავისი სარჩო-საბადებელი და შემოეხიზნა ბაკურიანის ტყეებს და წალკის მიდამოებს. მარქარიან აივაზიანებმა კი დროზე მოასწრეს გამოპარვა, აღელვებული ხალხი მათ სასიკვდილოდ დაეძებდა, დღეს კი თავისუფლად დასეირნობენ ტფილისის ქუჩებზე, მიუხედავად იმისა, რომ სომეხთა წარმომადგენლებმა შემდეგ ბაკურიანში აღუთქვეს ხალხს მოენახათ საშინელ მხეცობის ჩამდენნი და დაესაჯათ.

აი, ბატონებო, ნამდვილი დამნაშავენი ბაკურიანის ტყეებში ძმათა სასაფლაოში უდროვოდ ჩაყრილ ხალხისა, აი მიზეზები იმ ცრემლებისა, იმ მოთქმა გოდებისა, რომელიც ცივ მთებში მიწას ალღობდა და დაუსრულებელი ტანჯვა გამოიწვია.

დღეს კი სომხეთის დიპლომატიური წარმომადგენელი კიეველ სომხეთის ელჩს ემუდარება აცნობოს ქვეყანას, რომ საქართველოს მთავრობა აწამებს ლტოლვილებს, რომ ის არ უშვებს უკან ახალქალაქში მათ, მიუხედავად იმისა, რომ ოსმალთაგან უკვე მივიღეთ ნებართვაო.

რათ არ აცნობეთ ბ—ნო ჯამალიანო, ზორიანებო და კომპანიავ, ისიც მთელ ქვეყანას, რომ ახალქალაქელმა თქვენმა ამხანაგებმა თავები მოკვეთეს უდანაშაულო მაჰმადიანებს, რომ თქვენი ამხანაგი დაშნაკელები იქედან მაშინ გამოიპარნენ და ხალხი კი ყველა ამის გამო გადმოიხვეწა და შიმშილ-სიცივით ტყეებში გაწყდა.

ან რად არ ამბობთ იმასაც რომ სომეხ ლტოლვილებთან ერთად ამოწყდა ქართველი ლტოლვილებიც, უკანასკნელი მესხები და ჯავახელები. აბა მიდით აწყურის ტყეებში, გადახედეთ თოვლიან მინდვრებში დაყრილ ქართველ ლტოლვილებს, მოუსმინეთ ობოლ ბავშვებს, რომლებიც გამვლელებს შარაგზაზე ხელებ-აშვერილი ხვდებიან და შიმშილ-სიცივისაგან აკანკალებულნი, ღონემიხდილნი შველას სთხოვენ. განა საქართველოს მთავრობას რომ საშუალება ჰქონოდა, არ დააბრუნებდა და არ უშველიდა ამ მისთვის ძვირფას მესხებს და ჯავახელებს, უკანასკნელ შთამომავლობას ჩვენი კულტურის აკვანისა?

თქვენ აფათურებთ, დაშნაკელებო, სისხლში გასვრილ ხელებს და გსურთ მისი ლაქით გასვაროთ ქართველი დემოკრატია. თქვენ არ იბრალებთ იმ უბედურ ხალხს, რომელიც გადაურჩა ამ საშინელ განცდას და მზგავსად 6 ნოემბრისა მიდევნით ბარალეთის მთებში მაშინ, როცა წინასწარ იცით, რომ მათ ოსმალები ამოხოცვენ. და აი ამ გზით კიდევ მიემატა ბარალეთის მთებში ახალი 150 საფლავი უდანაშაულო ბავშვებისა და ქალებისა, რომელნიც თქვენ თავიდანვე გაწირეთ და მისი სისხლით ვაჭრობთ.

შორს ჩვენგან ეს სისხლიანი ხელები! ნუ აფათურებთ მათ, ისინი ღირსნიც არ არიან იმ ობოლ საფლავებისა, რომელთაც მოკირწყლულია უბედური აიასტანი და ბაკურიანის ტყეები! („ერთობა").

დროებით ჯავახელი.

ქართველ მსახიობთა კავშირის საგანგებო კრება

კვირას, ნოემბრის 10-ს, შესდგა საგანგებო კრება ქართველ მსახიობთა საპროფესიო კავშირის წევრებისა, განსახილველი საგანი იყო მომავალი სეზონი ქ. ტფილისის სახელმწიფო თეატრში.

კავშირის საბჭოს მიერ კრებას დაწვრილებითი მოხსენდა წლევანდელის სეზონის ვითარება და ის, თუ რამ გამოიწვია ის გარემოება, რომ 82 წევრი კავშირისა დღეს-დღეობით სეზონ გარეშე და უმუშევრად არის დარჩენილი. ახსნილ იქმნა ისიც, რომ კავშირის საბჭოს დიდად უზრუნვია სეზონი მოწყობილი ყოფილიყო მთავრობის მიერ, საქმეც თითქოს დასრულებით, მაგრამ კავშირზე დამოუკიდებელ მიზეზების გამო მდგომარეობა შეტრიალებულა. საბჭომ აგრეთვე კრებას აუწყა, რომ პარლამენტის ზოგიერთი ფრაქციები დაინტერესდნენ ტფილისის უსეზონობით, ჩვენ პროფესიანალთა მდგომარეობით და მოითხოვეს ვაუწყოთ ყოველივე.

კრებამ მოიწონა საბჭოს ნამოქმედარი დაადგინა: ეცნობოს პროფესიონალ მსახიობთა მდგომარეობა, როგორც პარლამენტის ყველა ფრაქციას, აგრეთვე მთავრობის და პრესის საშუალებით ფართო საზოგადოებას. ამასთან კვლავ აღიძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რომ მან სეზონის წარმოება გადასცეს პროფესიონალ მსახიობთა კავშირს.

დაწვრილებით მოხსენების შედგენა კი მიანდო საბჭოს.

საბჭომ თავის მხრივ შეიმუშავა ქვემორე მოყვანილი მოხსენება და უკვე დაუგზავნა კიდეც პარლამენტის ყველა ფრაქციებს. მოხსენებაში ვრცლადაა მოთხრობილი წლევანდელი უსეზონობის, მიზეზები და ასე თავდება:

„ეხლა მდგომარეობა ასეთია, რომ სეზონი გადაცემული აქვს დრ. საზოგადოებას მას ჰყავს დასი „სტუდიის" მოწაფეთა და ზოგიერთ ძველ პროფესიონალთაგან შემდგარი, დიდი უმრავლესობა კი ძველ მსახიობთა უმუშევრად არის დარჩენილი და არც არის სადმე მიწვეული.

ეხლა ჩვენს წმინდა მოვალეობად მიგვაჩნია ეს გარემოება ვაცნობოთ ფართო საზოგადოებას, რომ შეუძლებელია ხელოვნურად მოსპობა გადაგდება იმ მსახიობთა, რომელნიც ძველ შავ-ბნელ დროს შეძლებისამებრ ემსახურებოდნენ წმინდა საქმეს ხალხის გათვითცნობიერებისას და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ერთგვარ ლამპრად უძღოდნენ საზოგადოების გრძნობასა და გონებას ნუ თუ მოსათმენია, რომ ის მსახიობნი, რომელნიც აქამდე დიდის პირ-გადახდილობით, შიმშილ-წყურვილით და სხვათას გაჭირვებით ემსახურებოდნენ სამშობლოს, რომელთაც ეხლაც აქვთ საჭირო უნარი და ძალ-ღონე შემოქმედებისათვის, წარმოადგენს ცოცხალს და მხატვრულ ძალას, ეხლა როდესაც ეგივე სამშობლო თავისუფალია, როდესაც ბევრად უკეთეს პირობებშია, იყვნენ გადაგდებულნი, როგორც უვარგისი ელემენტი ჩვენი ცხოვრებისა, მათი გული არ იყოს იმ სიხარულით დამშვიდებული, რომ მადლიერი, თავისუფალი სამშობლო მათაც ჰპატრონობს და საშუალებას აძლევს თავის შესაძლებლობის ფარგალში შემოქმედებისას, დღეს კი ესე არ მოხდა. როგორც ზევით მოვიხსენიეთ დიდი უმრავლესობა დამსახურებულთა და თვალსაჩინო მსახიობთა გარეთ არის დარჩენილი, არავითარ აკადემიურ დასზე ზრუნვა არა სჩანს, მხოლოდ ერთი სტუდიის შემადგენლობა ცდილობს საქმის მონოპოლიას.

ჩვენ ვთხოულობთ საზოგადოებამ გამოსთქვამს თავისი მსჯავრი და თუ ეს საჭირო იქნება, თვით ჩვენმა უზენაესმა ორგანომ საქართველოს პარლამენტმაც აღიმაღლოს თავისი ხმა, რომ საშუალება მოგვცეს დავუბრუნდეთ ჩვენს საყვარელ საქმეს.

ერთის სიტყვით, ჩვენა გვსურს მთავრობამ მკვლავ იკისროს განზრახულ დასის შედგენა იმ ხარჯთ-აღრიცხვის თანახმად, როგორსაც გაეცნო შინაგან საქმეთა მინისტრი ბ. ნოე რამიშვილი, ე. ი. ას ორმოც-და ათი ათასი მანეთის გაღებით სეზონის დეფიციტის დასაფარავად. ეს ფული გაღებულ იქნას ნაწილ-ნაწილად, ხოლო დასის შედგენა და სეზონის ხელმძღვანელობა კი ჩაგვაბაროს ჩვენ, ქართველ მსახიობთა საპროფესიო კავშირის საბჭოს".

ამ. გრ. ჭუმბურიძის მოკვლის გამო

ათს ნოემბერს სოფ. მისაქციელში (მცხეთიდან 7—8 ვერსი) ვიღაც გარეწარმა მოჰკლა სიცოცხლით და ბრწყინვალე იდეებით სავსე ახალგაზრდა სტუდენტი ჭუმბურიძე.

ამხ. ჭუმბურიძე კვირას, ათს იყო სოფ მისაქციელში საერობო არჩევნებზე, ეწეოდა პროპაგანდას, არიგებდა ჩვენს ბიულეტენებს და საღამოს ის ერთ სოციალ-დემოკრატების პროპაგანდისტთან ერთად (გვარი არ ვიცით) გაემგზავრა მცხეთისაკენ. საღამოსვე მცხეთის კომისარმა ჭუმბურიძე უკვე მკვდარი მოიტანა თურმე მისაქციელის და ნაორეკვავის მღვდლის ცაგარლის სახლში, დააგდო და თითონ წავიდა.

აუცილებლად საჭიროა შინაგან საქმეთა სამინისტრომ ყურადღება მიაქციოს იმას, რომ ამდენი ხნის განმავლობაში მაზრის კომისარმა და ადმინისტრაციამ არაფერი იცის (!?) და არაფერი გაუკეთებია. ჩემი აზრით, მაზრის კომისარი კარგს იზამდა, რომ იგი ასეთს პირდაპირ მის მოვალეობას მიაქცევდეს ყურადღებას და არ გადიქცეოდეს სოც.-დემოკრატების პროპაგანდისტად, როგორც იგი იქცევა და მოიქცა სოფ საკრამულში, სადაც ოც და რვა კაცის წინაშე დიდის რიხით გამოვიდა სოციალისტ ფედერალისტების წარმომადგენელთა მოწინააღმდეგეთ და გლეხებს არწმუნებდა, ხმა პირველ ნომერს მიეცითო. როგორც ამხ. ს. დადიანმა იქვე შენიშნა, ასეთს პროპაგანდას პარტიის პროპაგანდისტებიც კარგად გასწევდნენ და კომისარი კი, როგორც მთავრობის წარმომადგენელი, უნდა თავის სადარაჯოზე იდგეს და ებრძოდეს მაზრაში ძარცვა-გლეჯას და მკვლელობას.

საკრამულში ეტლით ამობრძანებას და ოც და რვა კაცის მიტინგში მონაწილეობას, ვგონებთ უკეთესი იქნებოდა მისი ხელქვეითი კომისრებიც თავის საქმისთვის მიეჩინა, რათა დაუყონებლივ აცნობონ მას მაზრაში რა უწესოება ხდება და ისიც იქ უნდა მიეშურებოდეს, ადგენდეს წინასწარ გამოძიებას, რომ საშუალება ჰქონდეს შემდეგ სასამართლომ მოჰკიდოს ხელი დამნაშავეს თუ ამას პირადად თითონ არ იკადრებს ბ. კომისარი, ხელქვეითებს მაინც დაავალოს და პარტიული აგიტაცია-პროპაგანდა კი თვით პარტიებს მიანდოს. მაგრამ შეიძლება ისინი პროპაგანდისტები უკეთესნი იყვნენ, ვიდრე ადმინისტრატორები? მაშინ ადმინისტრატორობას თავი დაანებონ და აგიტაციას მიჰყონ ხელი.

აგრეთვე იუსტიციის მინისტრის ყურადღებასაც ვაქცევთ ამ საშინელს მკვლელობას, რომელსაც ტერორის სუნი უდის და მოვითხოვთ დაუყონებლივ იყოს საგანგებო ზომები მკვლელის აღმოსაჩენად. ამ მკვლელობის ამბავი უეჭველია ეცოდინებათ მცხეთის კომისარს, რომელსაც მკვდარი მღვდლის ეზოში მოუტანია, შემდეგ თითონ მღვდელს ცაგარელს და შემდეგ თვით სოფ. მისაქციელის მცხოვრებლებს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოციალ-დემოკრატების იმ პროპაგანდისტს, რომელიც მისაქციელში იმ დღეს იყო და ჭუმბურიძესთან ერთად მცხეთისკენ წავიდა. ამ საზიზღარი მკვლელობისადმი უყურადღებობა ყოვლად შეუძლებელია და ჩვენც მოუთმენლად ველით მთავრობის ენერგიულს ზომებს.

მ—რე.

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა.
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.

ლივიტანოვის დიპლომი
ვასწავლი ყოველგვარ ჭრა-კერვას როგორც ქალისას ისე კაცისას და ბავშვებისას. მრავალ ფეროვან ნაქარგს, „გლადი", ნარღვევი, და სხვა. ამასთანავე ვიღებ შეკვეთილებს: კაბებს, პალტოებს, თეთრეულს; კაცის ტანისამოსს: ჩერქეზულ, იმერულს და გურულს. ვასრულებ სინდისიერად და ხელმისაწვდომ ფასად.
გორის ქუჩა, № 18. 2278

იყიდება
საზღვარ-გარეთის საკონცერტო
პიანინო
მისამართი: რეუტოვის ქუჩა, № 35, ქვედა სართული ქუჩის პირას. 2414

ექიმი ძ. ტუღუშილაშვილი, განაახლა ავადმყოფების მიღება (საშარდე და სასქესო ორგანოების სნეულებანი, ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი, „914"-ის შეშხაპუნება) ყოველ დღე საღამოობით 6—8 საათ. გარდა კვირისა. კერძო საავადმყოფოში, მიხეილის ქუჩა, № 167. 2407

ექიმი დ. ა. ხარაბაძე იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს. მელიქიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლო. 2105

ექიმი ი. ი. ხიზანიშვილი. მიიღება ვენერიული საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფები დილით 9—12 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილით მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოეს" პირდაპირ № 8. 301

ექიმი ა. მესხიშვილი იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. [illegible] ქ. № 6.

ექიმი შ. ა. მიქელაძე მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 118.

ექიმი ნიკოლოზ მახვილაძე იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და მისამართი მოსკოვის ქ. № 11. 2245

ექიმი ნ. დ. ტერიაშვილი (მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღ. 4—6 საათამდე. შინაგანი, ბავშვებისა, ქალებისა და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმონოვის აფთიაქის გვერდით. 303

ექიმი ი. ძ. აბაკელია შინაგანი ავადმყოფობა. განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა: ფილტვებისა, სასუნთქისა ფილტვების აპკისა, გულისა და ძარღვებისა. ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველი გვარი ციებისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 4½—6 საათამდე. პეტრე დიდის ქ. № 26. ტელ. 5—86. 1270

ექიმი ქალი რ. ზ. [illegible] მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა [illegible] დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე მიხაილოვის პრ. სახლი № 119. ტელ. 9—38. 2306

რენტგენისა და ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი
წითელი ჯვრის სარენტგენო კაბინეტის ყოფილ გამგის და მიხეილის საავადმყოფოს ექიმის ა. [illegible] მიიღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს. სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა (ტუბერკულიოზი), გულისა, კუჭისა და ჰაჭებისა მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილებს რიგს გარეშე იღებენ. კრილოვის ქ. № 5, ბ. 8. მიღება 4—8 საათ., გარდა კვირისა. ტელეფონი 12—46. 2029

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა
ბ. ზ. მებრაბიანცი
ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი ავადმყოფობა, ქლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტი; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალუმინიდი და არსევალის ტიკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92. 1340

[illegible]
რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (ამიერ კინო-თეატრის მახლობლად). [illegible] და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 679

კერძო სამკურნალო
მმ. ა. დ. ალექსიძის
მოამსვლელ ავადმყოფთათვის. ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები.
ვ. მ. რუქავა—შინაგანი და ძვლების ავადმყოფობანი 9—11
მ. მ. ტყემალაძე—კანის და ვენერიული, სიფილის. 606—914 (ვრცლივ) 11—12 ს.
ი. ა. ლაზარევი—საბავშვო საშვილოსნო ავადმყოფობანი 12—1 ს.
ნ. თ. ანდრონიკაშვილი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 1—2 ს.
ა. დ. ალექსიძე—შინაგანი და ქალთა სნეულებანი 2—4 ს.
მ. ნ. იმხნელი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 4—6 ს.
ხ. ვ. ჯაფარიძე—საბავშვო ავადმყოფობანი 6—7 ს.
ი. ა. ხათრიძე—ბაქტერიოლოგი—გამგე სამკურნალოს ლაბორატორიისა სადაც შეიძლება ყოველგვარი ანალიზის მოხდენა (შარდის, სისხლის, ნახველისა და სხვა).
ელექტრიზაცია, მასაჟი, აცრა და ხემსების გაკეთება.
სამკურნალოში ღამითაც იმყოფება მორიგე ექიმი.
მისამართი: ირაკლის ქუჩა № 6, [illegible] მოედანთან, ტელეფონი № 9—8.
სამკურნალოში ყოველთვის იმყოფება მორიგე ექიმი. 2[illegible]8

ექიმ ნანახარდიანის კერძო [illegible] სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვენერიული ძველის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით:
„606" და „914" 11—12 ს.
ა. ა. ნანახარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)
ბ. მ. აგახაროვი: 10—12 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
მ. ვ. ავეტისიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 12—1 ს.
დ. ი. ჯაფარიძე: 10—11 ს. ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი.
მ. მ. ბენიამინოვი: 10—12 ს. ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი.
ხ. გ. ავეტისიანი—11—12 საკუთარი ბავშვთა ავადმყ.
ი. ი. ტერ-გრიგორიანცი, 12—1 ს. შინაგანი.
რჩევა-დარიგება 3 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნანახარდიანი.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი
„სახალხო საქმე"
ფასი: თვით 10 მან., ნომერი დარჩ პროვინციაში და ტფილისში 50 კაპ., რკინის გზის სადგურებზე 60 კ., განცხადება: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტი პირველ გვ. 60 კაპ., უკანასკნელ გვ. 40 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. ხელის მოწერა და განცხადება მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე, ხახანოვის ქუჩა, № 6, ტელეფონი 12—29.

სტამბა „სახალხო საქმე" ტფილისი, მარჯანის ქუჩა